



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აგრონომიული მადნები

აგრონომიული მადნები, აგროქიმიური ნედლეული, ბუნებრივი მინერალური წარმონაქმნები (ქანები ან მინერალები), რომლებსაც იყენებენ აგრონომიული მიზნით, მინერალური სასუქების წარმოებისათვის.

ტერმ. „ა. მ.“ 1921 შემოიღო მინერალოგმა ი. სამოილოვმა. ა. მ-ის მინერალებია: აპატიტი, თაბაშირი, გლაუკონიტი, დატოლითი და სხვ.; ქანები – დოლომიტები, კირქვები, კირქვიანი ტუფები, კალიუმის მარილები, ფოსფორიტები, გვარჯილები და სხვ. საქართველოში აპატიტი ნაპოვანია ოზურგეთის მუნიციპ-ში (სოფ. ვაკიჯვარი), თაბაშირი – ამბროლაურის (მუხლი–ნესის და ჭრებალოს საბადოები), ონის (ვაკისხევის საბადო), ახალციხის (წყალთბილას საბადო), გალის (ოქუმის საბადო), წალენჯიხის (ხუდონის საბადო), წყალტუბოს (დერჩისა და მექვენის საბადოები) მუნიციპ-ებში და სხვ.; გლაუკონიტი – ქუთაისის მიდამოებში და სხვ.; ფოსფორიტები – მარტვილის (ხუნწი-ინჩხურის საბადო), თერჯოლის (გოდოგნის საბადო), ცაგერის (ე. ნ. ლეჩხუმის საბადო), დედოფლისწყაროს (ელდარის დაბლობზე), წყალტუბოს (ცხუნკური–ჩუნეშის საბადო). მუნიციპ-ებში.

ლიტ.: საქართველოს ბუნებრივი რესურსები, მთ. რედაქტორი აკად. ირ. ჟორდანიას, ტ. I-II, თბ., 2015. Природные ресурсы Грузинской ССР, т. 2-Неметаллические полезные ископаемые, М., 1959.